პირველი ჯგუფი, რომელიც სამოთხეში შევა, სავსე მთვარის მსგავსი იქნება. შემდეგი ჯგუფი კი იქნება ცაში ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის მსგავსად ნათელი

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «პირველი ჯგუფი, რომელიც სამოთხეში შევა, სავსე მთვარის მსგავსი იქნება. შემდეგი ჯგუფი კი იქნება ცაში ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის მსგავსად ნათელი, ისინი არ შარდავენ, არ გადიან განავალზე, არ აფურთხებენ და არც ცხვირს იხოცავენ, მათი სავარცხლები ოქროსგან იქნება, მათი ოფლი მუსკუსივით სურნელოვანი, ხოლო მათი საკმეველი ალოეს ხის ნატურალური არომატი იქნება, მათი მეუღლეები ჰურ ალ-'აინი (ლამაზი და უბილწო სამოთხის ქალწულები) იქნებიან. ყველა ერთნაირი ქმნილება იქნება, მათი აღნაგობა მათი მამა ადამის (ალლაჰის მშვიდობა მას) მსგავსია – სამოცი იდაყვის სიმაღლე ცაში».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მუციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ მორწმუნეთა პირველი ჯგუფი, რომელიც სამოთხეში შევა, მათი სახეები იქნება სავსე მთვარესავით ნათელი. მათ შემდეგი ჯგუფი კი იქნება ცაში ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის მსგავსად ბრწყინვალე, მათ ექნებათ სრულყოფილი თვისებები – ისინი არ მოშარდავენ, არ გავლენ განავალზე, არ აფურთხებენ და არც ცხვირს მოიხოცავენ. მათი სავარცხლები ოქროსგან იქნება, მათი ოფლი მუსკუსივით სურნელოვანი, ხოლო მათი საკმეველი საუკეთესო სურნელოვანი არომატი და უწმინდესი საკმეველი იქნება. მათი მეუღლეები ჰურ ალ-'იინი (სამოთხის უბიწო ქალწულები) იქნებიან, მათი აღნაგობა ერთნაირი იქნება, მათი სხეული მათი მამა ადამის (მშვიდობა მას) მსგავსია – სამოცი იდაყვის სიმაღლეში.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65183